

1. სახელწოდება, ადგილსამყოფელი

1.1. საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“.

1.2. კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ადგილმდებარეობაა:

საქართველო, ქალაქი თბილისი, 0179, მერაბ კოსტავას №47

2. იურიდიული სტატუსი

2.1. საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ (შემდგომში „ცოდნა“) წარმოადგენს მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, კულტურის, შემოქმედებითი და ტექნიკური ინტელიგენციის, სასულიერო პირთა საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო, დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც არის ილია ჭავჭავაძის მიერ დაფუძნებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნის“ სამართალმემკვიდრე და უფლებამონაცვლე, რომელიც ბოლო წლებში რეგისტრირებული იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 1997 წლის 27 მარტის №7/3 დადგენილებით და ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 4/9-71, 02. 02. 1999 წლის დადგენილებით.

2.2. „ცოდნა“ წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირს, იგი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

2.3. „ცოდნა“ მონაწილეობს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და დოტაციის პრინციპით, თანამშრომლობს სხვადასხვა შემოქმედებით კავშირებთან, ასოციაციებთან, სხვა

სახელმწიფოების მონათესავე ორგანიზაციებთან. მისი საქმიანობა ხორციელდება საქართველოსა და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე, ფიზიკურ-იურიდიულ პირებთან ურთიერთობით.

2.4. „ცოდნა“ არის რეგისტრირებული იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ქონება სრულ საკუთრებაში, რასაც განკარგავს გამგეობის გადაწყვეტილებით, აქვს საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა სახის ანგარიშები როგორც საქართველოს, ისე საზღვარეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, მრგვალი ბეჭედი, ტვიფარი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

2.5. „ცოდნას“ შეუძლია გახსნას სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციები, საწარმოები, ფილიალები, დააფუძნოს პრესის, რადიო-ტელევიზიისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები, გასცეს კუთვნილი შენობა-ნაგებობების იჯარა, დადგენილი წესით განახორციელოს მისთვის სასარგებლო კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა.

2.6. „ცოდნა“ იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

2.7. „ცოდნის“ წესდება წარედგინება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სანოტარო წესით დამოწმებული ფორმით.

3. „ცოდნის“ საქმიანობის მიზნები და უფლებები

3.1. „ცოდნის“ მიზნებს განეკუთვნება:

3.1.1. საქართველოს მოსახლეობაში მეცნიერული, კულტურული, პოლიტიკური ცოდნის გავრცელება ლექციების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვების, თემატიკური საღამოების, შეხვედრების, კინო და ვიდეო ლექტორიუმების, კონსულტაციების, სემინარების, სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სხვა საინფორმაციო ღონისძიებების საშუალებით.

3.1.2. სამეცნიერო-პოპულარული, მხატვრულ-პუბლიცისტური და სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის, გაზეთების, ჟურნალების, ბიულეტენების გამოშვება, საგამომცემლო მუშაობის წარმართვა.

3.1.3. სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის სახლების, მუზეუმების, გამოფენების, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების და სხვა დაწესებულებების, დამხმარე და ერთობლივი საწარმოების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სკოლების, კოლეჯების, პროფესიული მომზადების კურსების შექმნა და საქმიანობის უზრუნველყოფა, არსებული კანონმდებლობის დაცვით, შესაბამისი განათლების მიღების დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემით.

3.1.4. საერთაშორისო კავშირთა განვითარება საზღვარგარეთის ქვეყნების საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან, სამეცნიერო და კულტურულ ცენტრებთან.

3.2. „ცოდნას“ კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს:

3.2.1. ქვეყნის ნებისმიერი ქალაქისა და რაიონის წარმოებებში, ორგანიზაციებში, კერძო სტრუქტურებსა თუ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში ჩაატაროს ლექცია-მოხსენებები ან სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიებები, კონფერენციები, ტრენინგები, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები აკადემიკოსებთან, მწერლებთან და ა.შ.

3.2.2.. საკუთრებაში ჰქონდეს შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო და კავშირგაბ-მულობის საშუალებები, ძირითადი და საბრუნავი სახსრები, სხვა უძრავი ქონება, მოუაროს და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მისი გასხვისება.

3.2.3. განახორციელოს თავისი საქმიანობის გეგმები, პროექტები და პროგრამები, დადოს ხელშეკრულებები საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების საწარმოებთან, ანალოგიური ტიპის ორგანიზაციებთან.

3.2.4. განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებით გათვალისწინებული.

3.3. „ცოდნის“ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების

განაწილება წევრებს შორის დაუშვებელია.

4. „ცოდნის“ წევრები, მათი უფლებები და მოვალეობები

4.1. „ცოდნის“ წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე განურჩევლად ეროვნებისა, რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებისა, ვისაც აქვს ცოდნა და უნარი მონაწილეობა მიიღოს „ცოდნის“ საქმიანობაში და აღიარებს „ცოდნის“ წესდებას.

4.2. „ცოდნის“ წევრი მოვალეა:

4.2.1. იმყოფებოდეს აღრიცხვაზე „ცოდნის“ ერთ-ერთ ფილიალში.

4.2.2. მონაწილეობდეს „ცოდნის“ ორგანიზაციულ საქმიანობაში, გამოდიოდეს ლექციებით, მოხსენებებით, საუბრებით, მონაწილეობდეს სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის სხვა ფორმებში, იყოს პასუხისმგებელი თავისი ბეჭდვითი და ზეპირი გამოსვლების ხარისხისათვის. დაიცვას წესდება და შეასრულოს „ცოდნის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები.

4.3. „ცოდნის“ წევრი უფლებამოსილია:

4.3.1. მონაწილეობდეს „ცოდნის“ ფილიალების საქმიანობაში თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს და არჩეულ იქნეს „ცოდნის“ არჩევით ორგანოებში.

4.3.2. ჩაებას „ცოდნის“ განვითარების სტრატეგიული და ტექნიკური პრობლემების დამუშავებაში, საქმიანობის მარეგლამენტირებელი დოკუმენტების პროექტების განხილვაში.

4.3.3. მიიღოს მხარდაჭერა და დახმარება „ცოდნისაგან“ თავის სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობაში, უპირატესი უფლებით ისარგებლოს „ცოდნის“ საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზებით.

4.3.4. ნებაყოფლობით გავიდეს „ცოდნის“ წევრობიდან.

4.4. „ცოდნის“ წევრად მიღება ხდება ინდივიდუალური წესით შემსვლელის პირადი განცხადებით.

4.5. „ცოდნის“ წევრი გაირიცხება კავშირის წევრობიდან იმ შემთხვევაში, როდესაც მისი საქმიანობა არ შეესაბამება „ცოდნის“ წესდებას ან იგი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

4.6. „ცოდნის“ წევრობიდან გარიცხულ პირს უფლება აქვს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

4.7. „ცოდნის“ ვალდებულებებისათვის მისი წევრები პასუხს არ აგებენ, ასევე „ცოდნა“ არ აგებს პასუხს მისი წევრების ვალდებულებებისათვის.

4.8. „ცოდნის“ სამეცნიერო-მეთოდურ და ორგანიზაციულ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, საუკეთესო ბეჭდვითი ნაშრომებისათვის „ცოდნის“ წევრებს შეიძლება მიენიჭოთ „ცოდნის“ სამეცნიერო წოდება, და „ცოდნის“ დამსახურებული ლექტორის წოდება, დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, ფულადი პრემიით, საპატიო სიგელით, კავშირის მიერ დაწესებული ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიით და გადაეცეთ შესაბამისი ფულადი თანხა, რომელსაც განსაზღვრავს „ცოდნის“ გამგეობა. ყოველი სამი წლის მანძილზე გაიცემა ორი პრემია, რაიმე გამონაკლისი შეიძლება იქნეს დაშვებული „ცოდნის“ გამგეობის გადაწყვეტილებით.

5. „ცოდნის“ სტრუქტურა

5.1. „ცოდნის“ ორგანიზაციული პრინციპია ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობა, მათი პერიოდული ანგარიშგება, გადაწყვეტილებათა მიღება უმრავლესობით, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა აუცილებლობა ქვემდგომი ორგანოებისათვის, თვითმმარ თველობის, შემოქმედებითი ინიციატივისა და საზოგადოებრივი საწყისების ყოველმხრივი განვითარება.

5.2. საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ფუნქციონირებს „ცოდნის“ ფილიალები, რომლებიც თავის მუშაობას აწარმოებენ წინამდებარე წესდების, „ცოდნის“ მიერ დამტკიცებული დებულებისა და ინსტრუქციის შესაბამისად.

5.3. „ცოდნის“ უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება, რომელსაც იწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ მაინც, რიგგარეშე საერთო კრების წევრთა ერთი მეათედის მოთხოვნით.

5.4. საერთო კრება ითვლება უფლებამოსილად, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს წევრთა ორი მესამედი.

5.5. საერთო კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს კრების მოწვევამდე ორი კვირით ადრე.

5.6. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს „ცოდნის“ საქმიანობის ყველა იმ საკითხზე, რაც არ შედის გამგეობის კომპეტენციაში. გადაწყვეტილება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ საკითხი კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი.

5.7. საერთო კრება ღია კენჭისყრით, ხმების უმრავლესობით ოთხი წლის ვადით ირჩევს გამგეობის წევრებს, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ამტკიცებს „ცოდნის“ წესდებებს, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები, იღებს გადაწყვეტილებას „ცოდნის“ ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ.

5.8. კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ხოლო გადაწყვეტილება წესდების შეცვლის შესახებ ორი მესამედით. „ცოდნის“ საქმიანობის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს კრების ყველა წევრის ხმათა ოთხ მეხუთედს. იმ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან კრებას, შეუძლიათ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან დამსწრე წევრებს.

5.9. „ცოდნის“ საქმიანობას ხელმძღვანელობს გამგეობა, რომელსაც ირჩევს საერთო კრება ოთხი წლის ვადით. გამგეობა თავის სხდომაზე ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მოადგილეებს, სწავლულ მდივანს ოთხი წლის ვადით. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც, ახალი გამგეობის არჩევამდე.

5.10. გამგეობის ახალი შემადგენლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. „ცოდნის“ გამგეობა წარმოადგენს „ცოდნის“ ხელმძღვანელ ორგანოს კრებებს შორის პერიოდში.

5.11. გამგეობის სხდომები ტარდება წელიწადში სულ ცოტა ოთხჯერ. რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნეს „ცოდნის“ თავმჯდომარის ან გამგეობის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

5.12. გამგეობის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, გამგეობის იმ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან სხდომებს, შეუძლიათ წერილობით ან გამოკითხვით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან დამსწრე წევრებს.

5.13. გამგეობის სხდომის მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს ერთი კვირით ადრე.

5.14. გამგეობა „ცოდნის“ ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის თაობაზე ანგარიშს აბარებს საერთო კრებას.

5.15. გამგეობა უზრუნველყოფს საერთო კრების დადგენილებათა შესრულებას, მორიგი საერთო კრების მოწვევას და ღებულობს გადაწყვეტილებებს ყველა სხვა მიმდინარე საკითხებზე, რომლებიც წარმოიშობა საერთო კრებებს შორის პერიოდში და რაც საერთო კრების სპეციალურ კომპეტენციას არ განეკუთვნება.

5.16. „ცოდნის“ გამგეობა:

5.16.1. ისმენს „ცოდნის“ ფილიალების, სამეცნიერო-მეთოდური საბჭოების, სარევიზიო კომისიის ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ.

5.16.2. წარმართავს საგამომცემლო საქმიანობას, განსაზღვრავს საერთაშორისო კავშირურთიერთობებს, კოორდინაციას უწევს „ცოდნის“ ფილიალების მუშაობას, ქმნის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოებს და კომისიებს, სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს, „ცოდნის“ გაზეთებისა და ჟურნალების, რადიო-ტელევიზიის რედკოლეგიებს და ისმენს მათ ანგარიშებს, განკარგავს „საზოგადოება ცოდნის“ უძრავ-მოდრავ ქონებას, იღებს გამგეობის წევრთა უძრავლესობის თანხმობას.

5.16.3. უზრუნველყოფს „ცოდნის“ ფილიალების მიერ საერთო კრების და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

5.16.4. ახორციელებს „ცოდნის“ ფილიალების წევრებისა და შტატგარეშე მუშაკთა მორალურ და მატერიალურ წახალისებას, წარადგენს საუკეთესოებს სახელმწიფო ჯილ დოებზე.

5.16.5. „ცოდნის“ თავმჯდომარის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს გამგეობის, მისი ფილიალების ხარჯთაღრიცხვას, სტრუქტურებს, შტატებს, თანამდებობრივ სარგოებს, შტატისა და შტატგარეშე პერსონალის ხელფასის ფონდებს.

5.16.6. „ცოდნის“ გამგეობა აფორმებს საკონტრაქტო ხელშეკრულებებს „ცოდნის“ მუშაკებთან და საჭიროებისამებრ სხვა პირებთან მათ მიერ გაწეული შრომის ანაზღაურებისა და საკონტრაქტო ვადების თაობაზე. ადგენს სალექციო, საინფორმაციო-

სასწავლო და სხვა სახის კანონით ნებადართულ ანაზღაურების ოდენობას.

5.16.7. გამგეობის წევრთა შრომის ანაზღაურება ხდება საშტატო განრიგის შესაბამისად.

5.16.8. გამგეობას გამოაქვს გადაწყვეტილება „ცოდნის“ საერთო კრების მოწვევის შესახებ და ამტკიცებს კრების მუშაობის დღის წესრიგის პროექტს.

6. „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე

6.1. თავმჯდომარე მინდობილობის გარეშე წარმოადგენს „ცოდნას“ სახელმწიფო ორგანოებში, სამინისტროებში, უწყებებში და სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, გამოსცემს განკარგულებებს, ქმნის თავმჯდომარის ფონდს, გამგეობასთან შეთანხმებით ადგენს წარმომადგენლობის ხარჯებს და განკარგავს „ცოდნის“ ქონებასა და სახსრებს, ახდენს წევრების მატერიალურ დახმარებას, არსებული წესების საფუძველზე ნიშნავს ხელფასებს, წყვეტს თანამშრომელთა მიღების, დაწინაურების, გადაადგილების, განთავისუფლების საკითხებს, დებს ხელშეკრულებებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან, აწარმოებს პერსონალური დანამატის წესით თანამშრომლებისათვის ხელფასის მატებას, სარგებლობს ხელმოწერის უფლებით, ბეჭდით და ხელისმოწერით წარმოადგენს ოფიციალურ პირს ქვეყნის სახელმწიფო და სხვა ბანკებში, ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში.

6.2. გამგეობასთან შეთანხმებით თავმჯდომარეს უფლება აქვს აწარმოოს მოლაპარაკება იჯარის შესახებ ან ქონების გასხვისებაზე, განსაზღვროს თანამშრომელთა სამუშაო გეგმები, მკაცრად დაიცვას შრომითი შინაგანაწესი.

6.3. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან მოადგილე, რომელიც მიიღებს ასეთ რწმუნებას.

6.4. სპეციფიკური სამუშაოების შესასრულებლად თავმჯდომარეს უფლება აქვს ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

6.5. საერთო კრება გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით, საზოგადოებრივ საწყი-

სებზე, ირჩევს ერთ საპატიო მოადგილეს ცნობილ მეცნიერთა წრიდან, რომელიც ხელმძღვანელობს წესდებით, სარგებლობს გამგეობის სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით და არის „ცოდნის“ დიდი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

7. „ცოდნის“ ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო, საქალაქო და რაიონული

ფილიალები

7.1. „ცოდნის“ ფილიალები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ „ცოდნის“ წესდებით, რეგლამენტით, დადგენილებების და არსებული დებულების შესაბამისად, უზრუნველყოფენ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას, „ცოდნის“ გამგეობას აბარებენ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ.

8. „ცოდნის“ სამეცნიერო-მეთოდური ორგანოები

8.1. „ცოდნასთან“ ფუნქციონირებს საკონსულტაციო ორგანო დიდი სამეცნიერო საბჭო, დარგობრივი სამეცნიერო-მეთოდური საბჭოები, რომლებიც თავის საქმიანობას წარმართავენ „ცოდნის“ რეგლამენტით. დიდი სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობასა და რეგლამენტს ამტკიცებს საერთო კრება.

9. „ცოდნის“ სარევიზიო კომისია

9.1. „ცოდნის“ სარევიზიო კომისია სამი წევრის შემადგენლობით ირჩევა საერთო კრებაზე.

9.2. სარევიზიო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ გამგეობის წევრები.

9.3. სარევიზიო კომისია თავის საქმიანობას წარმართავს „ცოდნის“ საერთო კრების მიერ ამ სამსახურისთვის დამტკიცებული დებულებისა და ინსტრუქციების თანახმად.

10. „ცოდნის“ საკუთრება და შემოსავლის წყარო

10.1. „ცოდნის“ საფინანსო და სამეურნეო საქმიანობა წარმოებს თვითანაზღაურების, თვითდაფინანსების პრინციპით. სახსრები ყალიბდება კანონით ნებადართული საქმიანობით მიღებული და იმ დაწესებულებების, უწყებების, მოქალაქეების ნებაყოფლობით შენატანებისაგან, ვინც დაინტერესებულია „ცოდნის“ საქმიანობით.

10.2. „ცოდნის“ საკუთრებაში შედის მისი ფულადი სახსრები, შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობანი, „ცოდნის“ მიერ შექმნილი საწარმოები, დაწესებულებები, სასწავლებლები, უძრავი და მოძრავი ქონება.

10.3. „ცოდნის“ გამგეობა თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს ხელფასების, პრემიების, დანამატების საკითხებს, „ცოდნის“ წევრთა და მათთან თანამშრომლობაში მყოფ პირთა შრომის ანაზღაურების პირობებს.

10.4. „ცოდნის“ შემოსავლების ხარჯზე იქმნება სოციალური დაცვის საქველმოქმედო ფონდი.

11. „ცოდნის“ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

11.1. „ცოდნის“ რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2. „ცოდნის“ ლიკვიდაცია ხდება მისი საერთო კრების გადაწყვეტილებით, გაკოტრების, ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში.

11.3. „ცოდნის“ ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება უნდა გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდეს კრედიტორები, თუკი ასეთები იქნებიან.

11.4. ინფორმაცია „ცოდნის“ ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს პრესაში. „ცოდნის“ ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წევრთა, მათ შორის დამფუძნებელთა სახელით, ცვლილებებით სარეგისტრაციო დოკუმენტებზე (განცხადებაზე, წესდებაზე) ხელმოწერის უფლება ენიჭება გამგეობის თავმჯდომარეს.

კავშირი „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარე
ნუგზარ წერეთელი